კლიმაქტოპლანი K / KLIMAKTOPLAN® K

- **საერთაშორისო დასახელება (აქტიური ნივთიერება):** comb. drug
- **კლინიკურ-ფარმაკოლოგიური ჯგუფი:** ჰომეოპათიური საშუალებები
- **მწარმოებელი კომპანია:** DHU
- **მწარმოებელი ქვეყანა:** გერმანია
- **გამოშვების ფორმა:** ტაბლეტი #100
- **გაცემის რეჟიმი:** III ჯგუფი (ურეცეპტოდ)

შემადგენლობა

1 ტაბლეტში შედის:
აქტიური კომპონენტები: Cimicifuga D2 (ციმიციფუგა) _ 25 მგ; Sepia D2 (სეპია) _ 25 მგ;, Ignatia D3 (იგნაცია) _ 25 მგ; Sanguinaria D2 (სანგვინარია) _ 25 მგ;
დამხმარე კომპონენტები: ლაქტოზას მონოჰიდრატი, ხორბლის სახამებელი, მაგნიუმის სტეარატი
აღწერა
ბრტყელცილინდრული ტაბლეტები ღია რუხი ან რუხი ნაჭდევით, დამახასიათებელი სუნის გარეშე. იშვიათად, ტაბლეტები შესაძლოა დაწინწკლული იყოს.
ჩვენებები
კლიმაქტერული პერიოდი, რომლის დროსაც წამოხურებები, გაძლიერებული ოფლიანობა, გულის ფრიალი, თავბრუსხვევა, ქავილი, ნერვული დაძაბულობა, ძილის დარღვევა აღინიშნება.
მიღების წესები და დოზები
მიიღება 1-2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.
ტაბლეტები მიიღება ჭამამდე ნახევარი საათით ადრე ან სადილის მიღებიდან საათნახევრის შემდეგ, ტაბლეტები პირის ღრუში ნელ-ნელა უნდა გაიწოვოს.
თერაპიული ეფექტის არარსებობის შემთხვევაში ექიმს უნდა მიმართოთ.
პრეპარატის კარგი მიმღებლობის დროს კლიმაქტოპლანი N- ის მიღება შესაძლოა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.
გვერდითი მოვლენები
ძალიან იშვიათად შესაძლოა, პრეპარატის ცალკეული კომპონენტების მიმართ აუტანლობის რეაქციები გამოვლინდეს.
უკუჩვენება
მომატებული მგრძნობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.
განსაკუთრებული მითითებები
ჰომეოპათიური წამლების მიღებისას შესაძლოა დროებითი პირველადი გაუარესება აღინიშნოს. ასეთ შემთხვევაში პრეპარატის მიღება უნდა შეწყვიტოთ და საკონსულტაციოდ ექიმს მიმართოთ.

სხვა წამლებთან ურთიერთქმედება
გამოვლენილი არ არის.
ჰომეოპათიური პრეპარატების მიღება სხვა სამკურნალო საშუალებებით მკურნალობას არ გამორიცხავს.